- ამონაგების აღიარება, როდესაც საზოგადოება მიაწოდებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებას.

საზოგადოება ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

საზოგადოების შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს საგადახდო მომსახურების გაწევა იურიდიული პირებისთვის. საგადახდო მომსახურების გაწევისას საზოგადოებას შეიძლება გააჩნდეს

პირდაპირი ხელშეკრულება საბოლოო მიმღებთან, ან გადახდები განხორციელოს შუამავალი პროვაიდერის მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ გადახდის განხორციელების პროცესში ჩართულია შუამავალი პროვაიდერი, საზოგადოება იხდის საშუამავლო საკომისიოს. მომსახურების საკომისიო შეიძლება გადაიხადოს მომსახურების მიმღებმა კლიენტმა ან მიმღებმა საზოგადოებამ. წმინდა საკომისიო შემოსავალი შედგება თანხისგან, რომელიც საზოგადოებამ მიიღო უშუალოდ მომხმარებლისგან, ინიციატორებისაგან ან მიმღებისაგან.

ინიციატორები ჩვენს სისტემაში არიან:

- ბანკები
- საგადახდო მომსახურების პროვაიდერები (პსპ)
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციები
- მომხმარებლები

ამასთან იმ შემთხვევაში, როდესაც გადახდის ოპერაციაში მონაწილეობს შუამავალი საზოგადოება, ხდება საშუამავლო მომსახურების საკომისიოს გამოკლება. აღნიშნული მომსახურების შედეგები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილია „ამონაგების“ სახით.

საზოგადოების პოლიტიკა ზემოთ ჩამოთვლილ შემოსავლის გაფორმირებული საქმიანობებისთვის არის მსგავსი და მათი დეტალები მოცემულია ქვემოთ:

შემოსავალი საგადახდო და სხვა მომსახურების გაწევით

შემოსავალი საგადახდო და სხვა მომსახურების მიწოდებიდან აღიარდება დროთა განმავლობაში, იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველთვიური ღირებულების შესაბამისად.

შემოსავალი სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც ეს ერთჯერადი მომსახურება გაიწევა. გარიგების ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ მომსახურების მიღება. აქედან გამომდინარე, შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

საზოგადოების შემოსავლის საკონტრაქტო ღირებულება არის როგორც ფიქსირებული, ისე ცვლადი. შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასებისა და ცვლადი მონაცემების მიხედვით.

წმინდა საკომისიო შემოსავალი შედგება თანხისგან, რომელიც საზოგადოებამ მიიღო უშუალოდ ინიციატორებისაგან, მომხმარებლისგან ან მიმღებისაგან. ამასთან როდესაც გადახდის ოპერაციაში მონაწილეობს შუამავალი საზოგადოება, ან როდესაც მიმღები იხდის საკომისიოს ხდება აღნიშნული მომსახურების საკომისიოს გამოკლება.

ფინანსური შემოსავალი

საზოგადოების ფინანსური შემოსავალი მოიცავს საპროცენტო შემოსავალს ანაბარზე განთავსებული თანხიდან, რომელიც წარმოდგენილია „სხვა შემოსავლებში“.

ფინანსური შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ხარჯების აღიარება

მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება მიღებული შემოსავლის პროპორციულად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური

სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო საზოგადოებამ დასაქმებულისგან.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა საზოგადოებიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა საზოგადოებაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს საზოგადოების მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს საზოგადოებიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ საზოგადოებას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს საზოგადოების ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, საზოგადოების მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, საზოგადოება მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს საზოგადოებასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

საზოგადოება ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოების ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

საზოგადოება ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს ფუნქციონირებადობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება

იქნა გადახდილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახდვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ქვემოთ მოცემულია არეები, რომლებიც ხელმძღვანელობისგან მოითხოვს შეფასებებსა და დაშვებებს:

- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს საზოგადოება აქტივიდან სარგებლის მიღებას.

5. ფინანსური რისკების მართვა

საზოგადოებას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები. აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებული რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

საზოგადოების ყველა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები მოკლევადიანია, იგულისხმება, რომ მათი საბალანსო ღირებულება ახლოსაა რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

საზოგადოების ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია საზოგადოების რისკის მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, ხელმძღვანელობის მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებების უმაღლეს ხელმძღვანელობაზე.

ხელმძღვანელობა ამზადებს ყოველთვიურ რეპორტებს, რომლის მეშვეობითაც ხდება პროცესის ეფექტურობისა და პოლიტიკების შემოწმება. ხელმძღვანელობის საერთო მიზანია ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს საზოგადოების კონკურენტუნარიანობაზე და მოქნილობაზე. აღნიშნული პოლიტიკა ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

საზოგადოება საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი;
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე განიცდის ფინანსურ ზარალს სხვა მხარის მიერ ვალდებულების ვერ შესრულებით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ისეთი ოპერაციების შედეგად, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალური მოცულობის საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივების მაქსიმალური მოცულობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

სს „გაერთიანებული კლირინგ ცენტრი“
განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური აქტივები	31-დეკ-2024	31-დეკ-2023	01-იან-2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,346,815	5,282,297	2,125,604
მოთხოვნები ინიციატორების მიმართ განხორციელებულ გადახდებზე	5,653,802	9,446,369	6,638,840
საკომისიო მოთხოვნები ბანკებისგან	126,459	189,259	176,410
მოთხოვნები სალიზინგო კომპანიების მიმართ ნოტიფიკაციებიდან	46,833	4,019	3,473
მოთხოვნები ვერიფიკაციის მომსახურებიდან	31,155	41,302	69,492
საკომისიო მოთხოვნები პროვაიდერებისგან	28,012	16,332	31,743
სხვა მოთხოვნები	973	2,110	12,328
ჯამი	7,234,048	14,981,688	9,057,890

ფული და ფულის ეკვივალენტები განთავსებულია მაღალი რეიტინგის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში. საწარმოს ხელმძღვანელობა ამ ინსტრუმენტს მიიჩნევს დაბალი საკრედიტო რისკის მქონედ, შესაბამისად ზარალის რეზერვის აღიარებისთვის გამოიყენება 12-თვიანი საკრედიტო ზარალი. გაუფასურების შედეგები უმნიშვნელოა, შესაბამისად არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

რაც შეეხება დანარჩენ ფინანსურ აქტივებს, როგორც სავაჭრო მოთხოვნების განმარტებით შენიშვნაში ავღნიშნეთ, საზოგადოების საქმიანობიდან გამომდინარე, ნაშთად არსებული ფინანსური აქტივები წარმოადგენს მაღალ ლიკვიდურ აქტივებს, რომლებიც არ საჭიროებენ გაუფასურების რეზერვის შექმნას, ამასთანავე როგორც ფული და ფულის ეკვივალენტები, საზოგადოებას სავაჭრო მოთხოვნებში წარმოდგენილი ფინანსური აქტივების უდიდესი ნაწილი შედგება, იმავე ფინანსური ინსტიტუტების მიმართ არსებული სავაჭრო მოთხოვნებისგან, სადაც განთავსებულია საზოგადოების ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, რაც ასევე დაბალ საკრედიტო რისკს წარმოშობს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ საზოგადოებას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს საზოგადოების ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის გასაანალიზებლად, ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს მომავალ ფულად ნაკადებს. ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში. ქვემოთ მოყვანილი ინფორმაცია დაფუძნებულია ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ ინფორმაციაზე. ლიკვიდურობის ანალიზი, წლების ჭრილში, შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

31-დეკ-2024	
ფინანსური აქტივები	1 წლამდე
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,346,815
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ავანსების გარდა	5,887,233
სულ ფინანსური აქტივები	7,234,048
ფინანსური ვალდებულებები	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, ავანსების გარდა	6,018,261
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,018,261
წმინდა ლიკვიდობის პოზიცია	1,215,787

31-დეკ-2023

ფინანსური აქტივები	1 წლამდე
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5,282,297
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ავანსების გარდა	9,699,391
სულ ფინანსური აქტივები	14,981,688
ფინანსური ვალდებულებები	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, ავანსების გარდა	13,566,763
სულ ფინანსური ვალდებულებები	13,566,763
წმინდა ლიკვიდობის პოზიცია	1,414,925

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საზოგადოებას გააჩნია საკმარისი ლიკვიდურობა, რომ დააკმაყოფილოს ვალდებულებები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას საზოგადოების მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს საზოგადოების ფინანსური რისკების განსაზღვრაში. საზოგადოება ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

31-დეკ-2024	დოლარი	დ.ბ.გ. სტერლინგი	ჯამი
ფინანსური აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	281,953	24,834	306,787
სულ ფინანსური აქტივები	281,953	24,834	306,787
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ავანსების გარდა	21,976	4,179	26,155
სულ ფინანსური ვალდებულებები	21,976	21,976	43,952
წმინდა პოზიცია	259,977	2,858	262,835

31-დეკ-2023	დოლარი	დ.ბ.გ. სტერლინგი	ჯამი
ფინანსური აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	178,190	-	178,190
სულ ფინანსური აქტივები	178,190	-	178,190
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ავანსების გარდა	2,327	3,664	5,991
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,327	2,327	4,654
წმინდა პოზიცია	175,864	(2,327)	173,537

სავალუტო რისკისადმი მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს საზოგადოების მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 10 და 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. მოცემული პროცენტები არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. წმინდა მოგებასა და კაპიტალზე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების ეფექტი მნიშვნელოვან სავალუტო ნაშთებზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

თანხები მოცემულია ლარში		31-დეკ-2024	31-დეკ-2023
დოლარი			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10%-იანი გაუფასურება	(28,195)	(17,819)
	10%-იანი გამყარება	28,195	17,819
	20%-იანი გაუფასურება	(56,391)	(35,638)
	20%-იანი გამყარება	56,391	35,638
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ავანსების გარდა	10%-იანი გაუფასურება	(2,198)	(233)
	10%-იანი გამყარება	2,198	233
	20%-იანი გაუფასურება	(4,395)	(465)
	20%-იანი გამყარება	4,395	465

თანხები მოცემულია ლარში		31-დეკ-2024	31-დეკ-2023
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10%-იანი გაუფასურება	(2,483)	-
	10%-იანი გამყარება	2,483	-
	20%-იანი გაუფასურება	(4,967)	-
	20%-იანი გამყარება	4,967	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ავანსების გარდა	10%-იანი გაუფასურება	(418)	(366)
	10%-იანი გამყარება	418	366
	20%-იანი გაუფასურება	(836)	(733)
	20%-იანი გამყარება	836	733

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი შეიძლება წარმოშვას ბაზარზე არსებულმა საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ, რამაც, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს საზოგადოების ფინანსური მდგომარეობაზე. ორგანიზაციას საანგარიშებო პერიოდის განმავლობაში ისევე როგორც წინა პერიოდებში არ ჰქონდა აღებული სესხი, რასაც შესაძლოა წარმოეშვა საპროცენტო განაკვეთის რისკი.

კაპიტალის მართვა

საზოგადოების მიზანი კაპიტალის მხარდაჭერის პროცესში არის შემდეგი:

- უზრუნველყოს საზოგადოების საქმიანობის უწყვეტად ფუნქციონირება; და
- საზოგადოების მფლობელებს მოუტანოს შესაბამისი ამოგება.

სს „გაერთიანებული კლირინგ ცენტრი“
განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საზოგადოება განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. საზოგადოება მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	31-დეკ-2024	31-დეკ-2023	01-იან-2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,040,028	5,104,107	1,948,335
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	306,787	178,190	177,269
ჯამი	1,346,815	5,282,297	2,125,604

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც საზოგადოებას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

ფული ბანკში მოიცავს საბანკო ანგარიშებს, რომელიც არ არის საზოგადოების სამეურნეო ანგარიში და რომელიც განკუთვნილია მხოლოდ პროვაიდერებისა და აგენტების მიერ ყოველდღიური საბანკო ოპერაციებისა და მათ მიმართ არსებული ვალდებულებების ანგარიშსწორებისათვის.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნულ ანგარიშებზე ნაშთი შეადგენს 739,486 ათას ლარს (2023 წელი: 4,773,854 ათასი ლარი, 2022 წელი: 1,824,936 ათასი ლარი). ამ საბანკო ანგარიშებით იზღუდება დივიდენდების გადახდა და იგი განკუთვნილია აგენტების და პროვაიდერების მიმართ ვალდებულებების დასაფარად.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-2024	31-დეკ-2023	01-იან-2023
მოთხოვნები ინიციატორების მიმართ განხორციელებულ გადახდებზე	5,653,802	9,446,369	6,638,840
გადახდილი ავანსები	568,759	424,819	564,935
საკომისიო მოთხოვნები ბანკებისგან	126,459	189,259	176,410
მოთხოვნები სალიზინგო კომპანიების მიმართ ნოტიფიკაციის მომსახურებიდან	46,833	4,019	3,473
მოთხოვნები ვერიფიკაციის მომსახურებიდან	31,155	41,302	69,492
საკომისიო მოთხოვნები პროვაიდერებისგან	28,012	16,332	31,743
სხვა მოთხოვნები	973	2,110	12,328
ჯამი	6,455,992	10,124,209	7,497,221

საზოგადოების საქმიანობიდან გამომდინარე, ნაშთად არსებული ფინანსური აქტივები წარმოადგენს მაღალ ლიკვიდურ აქტივებს, რომელიც არ საჭიროებენ გაუფასურების რეზერვის შექმნას.

8. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა და სერვერები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	მანქანა დანადგარები	სულ
თვითღირებულება 01-იან-2023	288,353	16,077	3,749	308,179
ზრდა	65,649	-	-	65,649
შემცირება	(79,193)	(3,595)	(3,749)	(86,537)
თვითღირებულება 31-დეკ-2023	274,810	12,482	-	287,292
ზრდა	164,798	2,530	-	167,328
შემცირება	-	-	-	-
თვითღირებულება 31-დეკ-2024	439,607	15,012	-	454,619
აკუმულირებული ცვეთა 01-იან-2023	(218,825)	(9,581)	(3,601)	(232,007)
ცვეთის ხარჯი	(17,696)	(1,185)	(148)	(19,029)
ცვეთა გასულ აქტივებზე	71,955	2,711	3,749	78,416
აკუმულირებული ცვეთა 31-დეკ-2023	(164,566)	(8,054)	-	(172,620)
ცვეთის ხარჯი	(44,025)	(952)	-	(44,978)
ცვეთა გასულ აქტივებზე	-	-	-	-
აკუმულირებული ცვეთა 31-დეკ-2024	(208,591)	(9,007)	-	(217,598)
საბალანსო ღირებულება 01-იან-2023	69,528	6,497	148	76,172
საბალანსო ღირებულება 31-დეკ-2023	110,244	4,428	-	114,671
საბალანსო ღირებულება 31-დეკ-2024	231,016	6,005	-	237,021

9. კაპიტალი

საზოგადოების, განთავსებული ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულება, 2023 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 594,000 ლარს, რაც უცვლელი რჩება საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე, ხოლო ნებადართული ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულება 864,000 ლარს შეადგენს.

აკუმულირებული მოგება 2023 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 114,514 ლარს. 2023 წლის განმავლობაში საზოგადოებამ მიიღო 305,595 ლარის მოგება, ხოლო 2024 წლის განმავლობაში მიიღო 176,675 ლარის მოგება, რითაც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აკუმულირებულმა მოგებამ 596,784 ლარი შეადგინა.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე საზოგადოების კაპიტალი 2024 წლის ბოლოს 1,190,784 ლარს უტოლდება.

დივიდენდის გაცემა 2023-2024 წლების განმავლობაში არ მომხდარა.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-2024	31-დეკ-2023	01-იან-2023
ვალდებულებები პროვაიდერის მიმართ	5,879,710	13,469,080	8,005,341
მიღებული ავანსები	928,812	1,034,145	940,701

სს „გაერთიანებული კლირინგ ცენტრი“
განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საკომისიო ვალდებულებები ინიციატორების მიმართ	53,730	50,594	60,127
ვალდებულებები ნოტიფიკაციის პროექტიდან	29,033	2,160	1,811
სავაჭრო ვალდებულებები	36,833	19,306	11,804
ვალდებულებები ვერიფიკაციის პროექტიდან	11,478	12,553	54,069
სხვა ვალდებულებები	7,477	13,071	13,546
ჯამი	6,947,073	14,600,908	9,087,399

სავაჭრო ვალდებულებებში შედის საზოგადოების სამეურნეო ოპერაციებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები როგორც არის, ვალდებულებები კომუნალურ მომსახურებებზე, ინტერნეტი, ობიექტების დაცვის და ა.შ.

11. ამონაგები

ამონაგები	2024 წელი	2023 წელი
საკომისიო შემოსავლები მიმღებისგან (პროვადერები)	14,428,278	10,551,285
საკომისიო შემოსავლები ბანკებიდან (ინიციატორები)	1,175,236	1,119,578
ინტერნეტ ეკვაირინგი (MYPAY)	1,019,714	705,465
შემოსავალი ვერიფიკაციის მომსახურებიდან	343,176	369,189
შემოსავალი ნოტიფიკაციის მომსახურებიდან	147,192	25,109
შემოსავალი მონიტორინგის სისტემიდან	255,838	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	17,198
ჯამი	17,369,435	2,787,822

12. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება

რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	2024 წელი	2023 წელი
ბანკების და ინიციატორის საკომისიო ხარჯი	13,904,592	10,210,177
ვერიფიკაციის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯი	136,057	152,976
ნოტიფიკაციის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯი	137,117	23,726
მიმღების (პროვადერების) მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	512,572	521,804
პროცესინგის ხარჯი (MYPAY)	353,040	226,793
პროვადერების მომსახურებასთან დაკავშირებული აგენტის ხარჯი	113,893	48,926
მონიტორინგის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯი	269,346	-
ჯამი	15,426,617	11,184,402

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2024 წელი	2023 წელი
შრომის ანაზღაურების ხარჯი	1,262,122	976,209
პროგრამული უზრუნველყოფის ვენდორის ხარჯი	108,451	22,650
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	58,796	30,707
პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების ხარჯი	53,200	40,081
სოციალური დანარიცხი	25,852	20,053
კომუნიკაციის ხარჯები	19,053	18,087
საკონსულტაციო ხარჯი	16,000	-
თანამშრომლების დაზღვევის ხარჯი	15,180	12,989

კომუნალური ხარჯები	6,006	3,592
ქონების გადასახადის ხარჯი	-	1,707
სხვა საერთო ხარჯები	187,665	160,621
ჯამი	1,752,326	1,286,695

14. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით საზოგადოების მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულიად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც საზოგადოება საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და საზოგადოების გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად.

15. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოადგენს:

ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

საზოგადოების დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს:

სს გაერთიანებული კლირინგ ცენტრისთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა მხოლოდ სს თიბისი ბანკი, რომელიც ფლობს აქციონერთა წილის 25 %-ს. ბასს 24-ის 9 ა(ii)-სა და ბასს 24-ის მეხუთე მუხლის გათვალისწინებით, დაკავშირებული მხარე არის საწარმო, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია გადაწყვეტილებაზე, ხოლო მნიშვნელოვანი გავლენის მქონეა ინვესტორი, თუ საწარმოში აქვს 20% ან მეტი წილი.

სს „გაერთიანებული კლირინგ ცენტრი“
განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულ მხარესთან	31-დეკ-2024	31-დეკ-2023	01-იან-2023
საკომისიო მოთხოვნები	31,868	15,339	14,739
მოთხოვნები განხორციელებულ გადახდებზე	3,505,956	6,490,679	4,866,906
მოთხოვნები ვერიფიკაციის მომსახურებიდან	841	1,222	1,458
მოთხოვნები ნოტიფიკაციის მომსახურებიდან	32,876	-	-
ჯამი	3,571,541	6,507,240	4,883,104
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარესთან	31-დეკ-2024	31-დეკ-2023	01-იან-2023
საკომისიო ვალდებულებები ინიციატორების მიმართ	701	1,122	437
ვალდებულებები ვერიფიკაციის პროექტიდან	4,546	3,410	3,696
ჯამი	5,247	4,532	4,133
შემოსავლები მიღებული დაკავშირებული მხარისგან	2024 წელი	2023 წელი	
საკომისიო შემოსავლები	186,744	180,360	
შემოსავალი ნოტიფიკაციის მომსახურებიდან	103,700	-	
შემოსავალი ვერიფიკაციის მომსახურებიდან	13,240	14,277	
ჯამი	303,684	194,637	
ხარჯები გაწეული დაკავშირებულ მხარესთან	2024 წელი	2023 წელი	
ნოტიფიკაციის პროექტთან დაკავშირებული ხარჯები	45,861	42,400	
საკომისიო ხარჯები ინიციატორების მიმართ	7,442,489	5,922,936	
ჯამი	7,488,350	5,965,336	
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება	2024 წელი	2023 წელი	
ფიქსირებული ხელფასი	97,577	68,878	
დანამატი შრომის ანაზღაურებაზე	67,602	87,459	
ჯამი	165,179	156,337	

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად საზოგადოების ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 ივნისს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გამოშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ საზოგადოების ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.